საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 54 07/11/2016

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო–საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის გათავისუფლების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამგებლის უფლებამოსილების შეწყვეტის გამო კომისიის თავმჯდომარეობიდან გათავისუფლდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო–საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე კობა ლურსმანაშვილი,

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 –ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ